შემსყიდველი ორგანიზაციების საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ერთად გეგმავს კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებას საბეჭდ მოწყობილობებზე, ე.წ „პრინტერებზე“.

საბეჭდი მოწყობილობის (პრინტერის) კონსოლიდირებული ტენდერის დაგეგმვის მიზნით, აუცილებელია მოკლვლეულ იქნეს სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან 2016 წლის ბოლომდე, **კრიტიული საჭიროებიდან გამომდინარე**, არსებული მოთხოვნა აღნიშნულ პროდუქტზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას და მისი გათვალისწინებით წარმოგვიდგინოთ თქვენი ორგანიზაციის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრამდე (წლის ბოლომდე) დაგეგმილი საბეჭდი მოწყობილობების (პრინტერების) იმ შესყიდვების შესახებ, რომელიც თქვენთვის ***კრიტიკულ საჭიროებას წარმოადგენს.***

A4 ფორმატის შავ-თეთრი საბეჭდი მოწყობილობა (პრინტერი) შესაძლებელია დაიყოს ორ ძირითად ტიპად:

ა) A4 ლაზერული საბეჭდი მოწყობილობა (პრინტერი), რომელსაც აქვს მხოლოდ ბეჭდვის ფუნქცია (მაგალითად HP P1102, Canon 6030, Xerox 3020 ან მსგავსი)

HP P1102

Canon 6030

Xerox Phaser 3020

ბ) A4 მრავალფუნქციური ლაზერული საბეჭდი მოწყობილობა (პრინტერი), რომელსაც ბეჭდვის გარდა შესაძლოა ჰქონდეს სკანერის ან/და ქსეროქსის ფუნქცია (მაგალითად HP MFP M127fn, Canon MF216n, WorkCentre 3225 ან მსგავსი)

HP MFP M127fn

Canon MF216n

WorkCentre 3225

კონსოლიდირებული ტენდერი **ჩატარდება** მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი ტიპის საბეჭდი მოწყობილობების (პრინტერების) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.

გთხოვთ, კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით ctd.spa.ge, გვაცნობოთ რა რაოდენობის „ა“ ტიპის (მხოლოდ ბეჭდვის ფუქციით) და რა რაოდენობის „ბ“ ტიპის (მრავალფუნქციური) საბეჭდი მოწყობილობების (პრინტერების) შესყიდვას გეგმავთ 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ასევე გთხოვთ გვაცნობოთ, თითოეული ტიპის პრინტერებისათვის, ჯამურად, რა რაოდენობის **ორიგინალი კარტრიჯის** (კონსოლიდირებულ ტენდერში არ განიხილება თავსებადი, არაორიგინალი კარტრიჯები და კარტრიჯის დატენვა) შესყიდვას გეგმავთ 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოგვიდგინოთ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 14 მარტისა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კოსოლიდირებული ტენდერები **არ ჩატარდება** ფერადი პრინტერების, ჭავლური პრინტერების და განსხვავებული ფორმატის პრინტერების (A3, A2, A1) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. მსგავსი ტიპის პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვა, უწინდებურად, განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.